კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1926 წლის აპრილის 15.	№ 3. განყოფილება პირველი	ა/კ. ცენტ. აღმას. კომიტ. საკანონმდებლო კომისიასთან არსებული კანონთა გამოქვეყნების განყოფილების მიერ გამოცემ.

შინაარსი:

მუხ. 604. ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური საფინდო კომისიების მოწყობის თაობაზე გამოცემული დადგენილებიდან მე-2 მუხლის „გ“ პუნქტის გამოკლების შესახებ.

„ 605. ქაღალდის მრეწველობის ნაკეთობის წანამატის შესახებ.

„ 606. ქალთა ინტერნაციონალურ—მარტის 8-ს—დღესასწაულთან დაკავშირებით ქალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

„ 607. დროებითი შრომის უუნარობისათვის გასაცემი დახმარების მაქსიმალური რაოდენობის შესახებ.

„ 608. ა/კ. რკინის გზებზე კატასტროფებთან ბრძოლის განსაკუთრებულ ღონისძიებათა შესახებ.

„ 609. ა/კ. რკინის გზის წყალსადენ ნაგებობიდან არა-რკინის გზის საწარმოთათვის წყლის მიცემის წესის შესახებ.

„ 610. სასაქონლო ნიშნების თაობაზე გამოცემულ კანონთა გაუქმების შესახებ.

„ 611. საკომისიო ხელშეკრულების შესახებ.

„ 612. დებულება დანაზღთა და სხვა საზედმოქმედო ღონისძიებათა შესახებ, რასაც ა/კსფსრ და მასში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატების საფინანსო კონტროლის დაწესებულებანი შეაფარდებენ.

✓ „ 613. სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სახვითი ხელოვნების მომუშავეთათვის გადასახადის გადახდევინების“ თაობაზე 1925 წ. მარტის 9-ს თარიღით გამოცემული დადგენილების შეფარდების შესახებ ა/კსფსრ ტერიტორიაზე.

„ 614. შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიისა, მომრიგებელი კამერისა და სამედიატორო სასამართლოს მიერ საშრომო საქმეების გამო მიღებულ გადაწყვეტილებათა იძულებით აღსრულების წესის შესახებ.

„ 615. კოლექტიურ ხელშეკრულებათა რეგისტრაციის წესების დამატების შესახებ.

„ 616. სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს მიერ „სოციალური დაზღვევის წესისამებრ გასაცემი პენსიის ნორმების თაობაზე“ 1926 წ. იანვრის 4-ს თარიღით გამოცემული დადგენილების განზორციელებისათვის ა/კსფსრ დამზღვევი ორგანოების მიერ გაწეული მუშაობის აღნუსხვის შესახებ.

„ 617. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ამნისტიის გავრცელების შესახებ კავკასიის წითელდროშიანი არმიის წითელარმიელებზე და სამხედრო მსახურებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ 618. სახელმწიფო სამეურნეო საწარმოთა წლიური ანგარიშების განმხილველი საუწყებათა-შორისო კომისიის სამოქმედოდ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

„ 619. ა/კსფსრ და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეთა სამუშაო ხელფასის დანორმვის შესახებ.

დადგენილება № 3 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

604. ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური საფონდო კომისიების მოწყობის თაობაზე გამოცემული დადგენილებიდან მე-2 მუხლის „გ“ პუნქტის გამოკლების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

გამოკლებულ იქნეს ამიერკავკასიისა და რესპუბლიკანური საფონდო კომისიების მოწყობის შესახებ 1925 წ. აპრილის 30-ს თარიღითა და 28 №-რით გამოცემული დადგენილებიდან (ა/კსფსრ კან. კრებ. 1925 წ. მე-5 №-რის 422 მუხ) მე-2 მუხლის „გ“ პუნქტი,

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1926 წ. თებერვლის 18. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1118 №-ში 1926 წ. მარტის 5-ს.

დადგენილება № 12/68 ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა

(მოწესრიგების სამმართველო)

1926 წ. თებერვლის 24.

605. ქალალდის მრეწველობის ნაკეთობის წანამატის შესახებ.

„ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ“ ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მიერ 1924 წ. ივნისის 26-ს თარიღით გამოტემული დადგენილების მე-3 მუხლის „გ“ პუნ თანახმად—ა/კსფსრ შინა ვაჭრობის სახალხო კომისარიატი—თავისი, 1925 წ დეკემბრის 16-ს თარიღსა და 9/65 №-რის, დადგენილების მე-2 მუხლის „დ“ და „ე“ პუნქტების შესაცვლელად—ადგენს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. კოოპერატიული ორგანიზაციისა და სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოს მიერ ზემოაღნიშნულ, 1925 წ. დეკემბრის 16-ს თარიღისა და 9/65 №-რის, დადგენილებაში ჩამოთვლილი ტრესტების ქაღალდის მრეწველობის ნაკეთობის ბითუმად გაყიდვისათვის შემოღებულ იქნეს წანამატი:

ბ) თავის საწყობში მიუზიდველად გაყიდვის დროს—არა უმეტეს 6 პროცენტისა ტრესტების ადგილობრივი საბითუმო ფასისა;

ე) თავის საწყობში გაყიდვის დროს—არა უმეტეს 8 პროც. ტრესტების ადგილობრივი საბითუმის ფასისა,

2. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებმა ა/კსფსრ-ში შემავალ რესპუბლიკებში თვალყური უნდა ადევნონ ამა დადგენილების სისწორით შესრულებას

3. ამა დადგენილების დარღვევიათვის დამნაშვე პასუხს აგებს სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსით, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ა/კსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო
კომისარი **ერქომაიშვილი.**
მოწესრიგების სამმართველოს უფროსი **ნოვიკოვი.**
საქმეთა მმართველი **ჩაკერტი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა-"ს 1118 №-ში 1925 წ. მარტის 5-ს

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

606. ქალთა ინტერნაციონალურ — მარტის—8-ს—დღესასწაულთან დაკავშირებით ქალთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

ქალთა ინტერნაციონალური დღესასწაულის—„მუშა-ქალის დღის—მარტის 8-ს" აღსანიშნავად ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

წინადადება მიეცეს ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს:

1. შეიმუშაონ საკანონმდებლო და მმართვა-გამგებლობის წესით პრაქტიკული ღონისძიებანი ქალის ყოფაცხოვრებისა და სოციალური, ეკონომიური, ოჯახური და სხვ. პირობების გასაუმჯობესებლად, რისთვისაც მომქმედ კანონმდებლობაში, არსებული წესისამებრ, უნდა შეიტანონ ისეთი ცვლილებანი, რაც, ადგილობრივი პირობების მიხედვით, უაღრესად უზრუნველჰყოფს ქალისთვის მინიჭებულ შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღავათებისა და, როგორც ქვეყნის მმართვა-გამგებლობაში მონაწილეობისა, ისე მოქალაქობრივ უფლებათა რეალურად განხორციელების საქმეს.

2. გამოსცენ რესპუბლიკანური კანონმდებლობის წესით მარტის 8-თვის ამნისტია დანაშაულობის ჩამდენ ქალთა ხვედრის შესამსუბუქებლად.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. მარტის 4. ტფილისი-სასახლე.

გაოქვეყნებულია „ზარია ვოსტკა"-ს 1119 №-ში 1926 წ. მარტის 6-ს.

დადგენილება № 15 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1926 წ. მარტის 8.

607. დროებითი შრომის უუნარობისათვის გასაცემი დახმარების მაქსიმალური რაოდენობის შესახებ.

ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს მიერ „დროებითი შრომის უუნარობისათვის გასაცემი დახმარების მაქსიმალური რაოდენობის შესახებ" 1925 წ. ნოემბრის 12-ს თარიღითა და მე-2 №-რით გამოცემული (გამოქვეყნ. ა/კ. შრ. სახ. კ-ტის შრომის კანონმდ. ვესტნიკ"-ის 1925 წ. 21 №-ში) დადგენილების გასაუქმებლად ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

განსაკუთრებულ განკარგულებამდე დროებითი შრომის უუნარობისათვის გასაცემი დახმარების რაოდენობად, იმის მიუხედავად, თუ რა მიზეზმა გამოიწვია იგი (შრომის კანონთა კოდექსის 176 მუხლის „ბ"პუნ.),დაწესებულ იქნეს დღიურად 5 მან (თვიურად—120 მან.)

2. დადგენილება ესე სამოქმედოთ შემოღებულ იქნეს დღიდან მისი გამოქვეყნებისა. ამიერკავკასიის სოციალური დაზღვევის საბჭოს მე-2 №-რის დადგენილისამებრ ყველა გაცემული დახმარებისათვის ხელახალი ანგარიშის გასწორება არ უნდა მოხდეს.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო
კომისარი **იაკუბოვი**

ა/კ. შრ. კ-ტის სოც. დაზღვ. მთავარ სამმართველოს
უფროსი **იაშვილი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1121 №-ში 1926 წ. მარტის 9-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება აკ. ცენტრალ. აღმასრულებელი კომიტეტისა და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

608. ამიერკავკასიის რკინის გზებზე კატასტროფებთან ბრძოლის განსაკუთრებულ ღონისძიებათა შესახებ.

სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის მიერ „რკინის გზების აგენტებისათვის კატასტროფების საქმეთა გამო გადასახდელის დადების წესის შესახებ" 1925 წ. ივნისის 20-ს თარიღით გამოცემული დადგენილების აკ. რკინის გზებზე გავრცელების თაობაზე აკ ცენტრალ. აღმასრულებელი კომიტეტისა და აკ სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1925 წ. სექტემბრის 14-ს თარიღით გამოქვეყნებული (აკსფსრ კან. კრ. 1925 წ. მე-9 №-რი, მუხ. 495) დადგენილების დასამატებლად—აკ. ცენტ. აღმასრ. კომიტეტი და აკსფსრ სახალხო კოკისართა საბჭო ადგენენ:

1. დროებითი ღონისძიების სახით ნება მიეცეს აკ. რკინის გზების ადმინისტრაციას—კატასტროფებში დამნაშავე პირთ, გარდა:

ა) შენიშვნისა და საყვედურისა;

ბ) საყვედურისა—დათხოვნის შეესახებ გაფრთხილებით;

გ) დათხოვნისა,—დაადოს აგრეთვე

დ) გადასახდელის ღონისძიების სახით—დაბალ თანამდებობაზე ჩამოყვანა.

2. წინადადება მიეცეს აკსფსრ შრომის სახალხო კომისმრიატს გამოსცეს განმარტება—სათანადო საკონფლიქტო ორგანოების მიერ ამა და აკ. ცენ. აღმ. კომიტეტისა და აკსფსრ სახ. კომის. საბჭოს ზემაღნიშნულ დადგენილებათა შეფარდების შესახებ და აგრეთვე იმის შესახებ, რომ რკინის გზების ადმინისტრაციისათვის არა-სასამართლო ხასიათის საკატასტროფო საქმეთა გამო შეფარდებულ არ იქნეს აკ. შრომის სახალხო კომისარიატის 1925 წ. იანვრის 16-ს განმარტება.

3. წინადადება მიეცეს აკსფსრ შედგენილებაში შემავალი რესპუბლიკების ცენ. აღმ. კომიტეტებს მიიღონ ღონისძიება, რათა სასამართლო ხასიათის საქმეები აკ. რკინის გზებზე მომხდარ შემთხვევების შესახებ განხილულ იქნეს ხოლმე რიგს გარეშე.

აკ. ცენ. აღმ. კომ. თავმჯდომარე **ს. ალამალი-ოღლი.**

აკსფსრ სახალხო კომ. საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

აკ. ცენ. აღმ. კომ. მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. მარტის 15. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკას" 1127 №-ში 1926 წ. მარტის 17-ს.

№ ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება აკ. ცენტრ. აღმ. კომიტეტისა და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

609. ამიერკავკასიის რკინის გზის წყალსადენის ნაგებობიდან არარკინისგზის საწარმოთათვის წყლის მიცემის წესის შესახებ.

არარკინისგზის საწარმოთა, დაწესებულებათა და მოსახლეობის მიერ წყლის სარგებლობის საკითხის მოწესრიგებისათვის ა|კ. ცენტრ. აღმ. კომიტეტი და ა|კ-სფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. წყალი ა|კ. რკინისგზის ნაგებობიდან არარკინისგზის საწარმოთ, დაწესებულებათ და მოსახლეობას მიეცეს მათი საერთო საჭიროებისამებრ:

ა) იმ ზედმეტი წყლიდან, რაც გადარჩება სარკინისგზო ტრანსპორტის ყველა მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის საჭირო საერთო რაოდენობას;

ბ) სასყიდლით—საექსპლოატაციო ხარჯების თვითღირებულების მიხედვისამებრ; თანაც ანგარიშში მიღებულ უნდა იქნეს ნაგებობათა ამორტიზაცია თვითეული საგასაცემო პუნქტისათვის ცალკე;

გ) ხელშეკრულების მიხედვით, რომელსაც დასდებს ა|კ. რკინისგზის გამგეობა საწარმოს და დაწესებულების კანონიერ წარმომადგენელთან, ხოლო მოსახლეობის მიმართ—ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტთან—კუთვნილებისამებრ.

2. ამა თუ იმ ადგილის ისეთი მოსახლეობის მიმართ, რომელსაც წყალი განსაკუთრებით უჭირს, ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული საერთო წესის გამონაკლისად, დაწესებულ იქნეს:

ა) უფასოდ მიცემა საყიდი სასმელი წყლისა ადგილობრივი გლეხთა მოსახლეობისათვის ისეთ უწყლო რაიონში, რომელიც რკინისგზის სადგურს აკრავს;

ბ) უფასოდ მიცემა წყლისა ადგილობრივი გლეხთა მოსახლეობისათვის, პირადი და ოჯახის საჭიროების დასაკმაყოფილებლად, რკინისგზის ისეთ სადგურზე, რომელსაც წყარო ან თვითმონადენი წყალი აქვს.

3. ამა დადგენილების მე 2 მუხ. აღნიშნული უწყლო რაიონებისა და წყაროიანი ან თვითმონადენი წყლიანი სადგურების სიის დამტკიცება, აგრეთვე წყლის გაცემის წესისა და იმ დაწესებულებათა განსაზღვრა, რომელთაც უნდა გაიღონ მოსახლეობისათვის უსასყიდლოდ წყლის მიწოდების ხარჯი,—მიენდოს ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს.

4. უფლება მიეცეს ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს დანორმონ გასაცემი წყლის შეფასება მოსახლეობის სოციალური შედგენილობის მიხედვით; ამასთანავე გასაცემი წყლის საერთო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს იმ თანხას, რაც განსაზღვრულია ა|კ. რკ. გზ. გამგეობასთან დადებული ხელშეკრულებით.

5. ის ხელშეკრულება წყლის მიწოდების შესახებ, რაც დადებულია ა|კ. რკ. გზ. გამგეობის მიერ ამა დადგენილების გამოცემამდე, დატოვებულ იქნეს ძა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაში, ვიდრე ვადა გაუვიდოდეს; ხელშეკრულების ვადის გასვლისას ურთიერთობა წყლის მოსარგებლებთან დამყარებულ უნდა იქნეს ამა დადგენილების პრინციპზე.

6. დაევალოს გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულს, ორი კვირის განმავლობაში დღიდან ამა დადგენილების გამოქვეყნებისა, გამოსცეს სათანადო ინსტრუქცია მის შესაფარდებლად; აგრეთვე იმავე ვადაზე წარუდგინოს აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დასამტკიცებლად პროექტი აარაკინისგზის საწარმოთა, დაწესებულებათა და მოსახლეობასთან დასადები ტიპიური ხელშეკრულებისა.

7. წინადადება მიეცეს აკსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს ვალდებულჰყონ მათი ქვემდებარე დაწესებულებანი, საწარმონი და ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტები ხელშეკრულება დასდონ აკ. რკ. გზ. გამგეობასთან მათთვის წყლის მიწოდების შესახებ ამა დადგენილებისა და მის განსავითარებლად გამოცემული ინსტრუქციის საფუძველზე.

8. წყლის მოსარგებლებთან ხელშეკრულების დადების უკიდურეს ვადად დაწესებულ იქნეს ორი თვის ვადა ამა დადგენილების გამოცემის დღიდან.

აკ. ცენ. აღმ. კომ. თავმჯდომარე **ს. ალამალი-ოღლი.**

აკსფსრ სახალხო კომ. საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

აკ. ცენტრალ. აღმასრულ. კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. მარტის 15. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1129 №-ში 1926 წ. მარტის 20-ს

დადგენილება აკ. ცენტრალ. აღმას. კომიტეტისა და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

610. სასაქონლო ნიშნების თაობაზე გამოცემულ კანონთა გაუქმების შესახებ.

სსრკ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სასაქონლო ნიშნების შესახებ 1926 წ. თებერვლის 12-ს თარიღის დადგენილების გამოცემის გამო—აკ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1926 წ. ივნისიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

ა) აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. თებერვლის 12-ს დადგენილება—სასაქონლო ნიშნების შესახებ (აკსფსრ კან. კრ. 1925 წ. მე 3 №-რი, მუხ. 378) და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ა|კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1925 წ. ივნისის 3-ს ინსტრუქცია—ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სასაქონლო ნიშნების შესახებ 1925 წ. თებერვლის 12-ს თარიღით გამოცემული დადგენილების შეფარდებისათვის (ა|კსფსრ კან. კრებ. 1925 წ. მე-6 № რი, მუხ. 439).

ა|კ. ცენ. აღმ. კომ. თავმჯდომარე **ს. ალამალი-ოღლი.**

ა|კსფსრ სახალხო კომ. საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა|კ. ცენტრალ. აღმასრულ. კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. მარტის 15. ტფილისი— სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1131 №-ში 1926 წ. მარტის 23.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

611. საკომისიო ხელშეკრულების შესახებ.

1. საკომისიო ხელშეკრულებით ერთი პირი (კომისიონერი) კისრულობს, განსაზღვრული სასყიდლით, მეორე პირის (კომიტენტის) მინდობილობისამებრ, მისივე ხარჯით, ხოლო თავისი სახელით, დასდოს ერთი ან რამდენიმე გარიგება.

კომისიონერი და კომიტენტი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი.

საკომისიო ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ყოველგვარი გარიგებისათვის, რაც კი კანონით არ არის აკრძალული: საქონლისა, ფასიანი ქაღალდისა და სხვა რამ ნივთის ყიდვისა და გაყიდვისათვის; საქონლისა და ტვირთის გაგზავნისა და დაზღვევისათვის, ფულის მიღებისა და გადახდისათვის და სხვ.

2. საკომისიო ხელშეკრულება დადებულ უნდა იქნეს წერილობით; მისი დამოწმება სანოტარო წესით სავალდებულო არ არის.

უკეთუ ხელშეკრულება წერილობით არ დაიდო, მხარენი ჰკარგავენ უფლებას, ვინიცობაა დავა აღიძვრის, ხელშეკრულების დასადასტურებლად დაეყრდნონ მოწმეთა ჩვენებას, ხოლო შეუძლიანთ კი მოიტანონ წერილობითი დამამტკიცებელი საბუთები.

3. კომისიონერის მიერ მესამე პირთან დადებული ხელშეკრულებით უფლებას იძახს და მოვალეობას კისრულობს კომისიონერი და არა კომიტენტი, თუნდაც ეს უკანასკნელი დასახელებულ იქნეს ხელშეკრულებაში ან ამ ხელშეკრულების შესრულებისათვის მან პირდაპირ მესამე პირთან დაიჭიროს საქმე.

4. საქონელი, რაც კომისიონერის განკარგულებაში იქნება, როგორც გამოგზავნილი კომიტენტისაგან, ისე მისი ხარჯით ნაყიდი, ჩაითვლება კომიტენტის საკუთრებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს მუხლი შეეფარდება იმ შემთხვევასაც, როდესაც კომისიონერი ან კომიტენტი არაშემძლე მოვალედ იქნება გამოცხადებული.

5. კომისიონერი, უკეთუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გაითვალისწინებული, პასუხს არ აგებს კომიტენტის წინაშე მესამე პირის მიერ, ამ უკანასკნელთან კომისიონერისაგან კომიტენტის ხარჯით დადებული ხელშეკრულებისმებრ,—დაკისრებული ფულის გადახდისა ან სხვა რამ ვალდებულების შესრულებისათვის.

უკეთუ მესამე პირი დაარღვევს ხელშეკრულებას, კომისიონერი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ეს კომიტენტს, შეაგროოს და დადგენილი წესით უზრუნველჰყოს სათანადო დამამტკიცებელი საბუთები.

უკეთუ კომისიონერი თავს იდებს პასუხისმგებლობას იმ მესამე პირისათვის, ვისთანაც მან კომიტენტის ხარჯით ხელშეკრულება დასდო, იგი ვალდებულია, იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირი ხელშეკურლებას არ შეასრულებს, მისცეს კომიტენტს ყველა ის, რაც მას ერგება შეუსრულებელი ხელშეკრულებით. ამ პასუხისმგებლობისათვის (დელ-კრედერე) კომისიონერს ეძლევა კომიტენტისაგან განსაკუთრებული გასამრჯელო—სათავდებო კომისია.

6. კომისიონერი მოვალეა:

ა) შეასრულოს ნაკისრი მინდობილობა თანახმად კომინტენტის დირექტივისა; ხოლო, უკეთუ კომიტენტი მინდობილობის ასრულებისათვის დირექტივას არ მისცემს ან ეს დირექტივა საკმაოდ გარკვეული არ იქნება, კომისიონერმა უნდა იმოქმედოს თავისი შეხედულებისამებრ, თანაც იხელმძღვანელოს ამა დადგენილების მე-7 მუხლი;

ბ) შეუსრულოს მესამე პირს, მასთან, კომიტენტის ხარჯით, დადებული გარიგების ყველა პირობა;

გ) მოსთხოოს მესამე პირს გარიგების შესრულება და მიიღოს მისგან ის, რაც მან შეასრულა;

დ) დაუყოვნებლივ აცნობოს კომიტენტს როგორც გარიგების დადება მესამე პირთან, ისე ამ გარიგების შესრულება;

ე) როგორც კი დამთავრდება გარიგება მესამე პირთან, დაუყოვნებლივ, უკეთუ ხელშეკრულებით ვადა არ არის დადებული, ჩააბაროს კომიტენტს ანგარიში და გადასცეს ყველაფერი, რაც რამ მას ერგება მინდობილობის შესრულებათ.

7. კომისიონერი მოვალეა მინდობილობა ისეთი პირობებით შეასრულოს, რაც ყველაზე უფრო ხელსაყრელი იქნება კომიტენტისათვის, თანაც ისე, რომ არ დაარღვიოს კომიტენტის დირექტივები.

8. უკეთუ კომისიონერი მესამე პირთან ხელშეკრულებას დასდებს იმაზე უფრო ხელსაყრელი პირობებით, რაც კომიტენტმა ითხოვა, გამორჩენა მთლად კომიტეტს ეერგება.

9. უკეთუ კომიტენტისაგან გასაყიდად ან გადასაგზავნად გამოგზავნილ საქონელში კომისიონერი მიღების დროს აღმოაჩენს რაიმე ისეთ ზიანს ან დანაკლისს, რის შემჩნევაც გარეგანი დათვალიერებით შესაძლებელია, იგი ვალდებულია, ზარალისათვის პასუხისგების რიდით, მიიღოს ღონისძიება კომიტენტის უფლებების

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასაცავად, რისთვისაც მან უნდა შეჰკრიფოს აღმოჩენილი ზიანისა და დანაკლისის დამამტკიცებელი საბუთები და დაუყოვნებლივ აცნობოს ყველაფერი ეს კომიტენტს.

10. როდესაც კომიტენტის საქონელი კომისიონერთან ინახება, კომისიონერი პასუხს აგებს კომიტენტის წინაშე საქონლის დაკარგვისა და დაზიანებისათვის, თუ არ დამტკიცებს, რომ საქონელი დაიკარგა და დაზიანდა ისეთი გარემოების გამო, რომელსაც გამჭრიახი და წინდახედული პატრონიც კი ვერ აიცდენდა.

უკეთუ საქონელი დაზღვეული არ არის, კომისიონერი ამის გამო პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კომიტენტმა მოსთხოვა საქონლის დაზღვევა და მან კი არ დააზღვევა.

11. უკეთუ საქონელი, რომელიც კომისიონერის განკარგულებაშია, ისეთი თვისებისაა, რომ მალე ფუჭდება და კომისიონერს აღარც საკმაო დრო აქვს კომიტენტისაგან დირექტივის გამოსათხოვად, ან კომიტენტი, რომელსაც ეცნობა, რომ საჭიროა საქონლის გაყიდვა, პასუხს დაგვიანებს, კომისიონერს უფლება აქვს, —და ვალდებულიც არის, თუ ამას კომიტენტის ინტერესი მოითხოვს,— გაჰყიდოს საქონელი ბაზრის ან ბირჟის ფასებში, ხოლო სადაც ეს არ არის, თავისუფალ ფასად.

12. უკეთუ კომისიონერი საქონელს იმაზე მეტ ფასად იყიდის, ვიდრე კომიტენტმა დაუნიშნა, კომიტენტი, თუ რომ არა სურს თავის თავზე მიიღოს ეს ნასყიდობა, ვალდებულია განუცხადოს ეს კომისიონერს დაუყოვნებლივ, როგორც კი ეცნობება, რომ მესამე პირთან დადებულია ხელშეკრულება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნასყიდობა კომიტენტის მიერ მიღებულად ჩაითვლება.

უკეთუ კომისიონერი ნასყიდობის ცნობასთან ერთად შეატყობინებს კომიტენტს, რომ ფასების განსხვავებას თითონ კისრულობს, კომიტენტს უფლება არა აქვს უარი სთქვას მისი ხარჯით დადებულ გარიგებაზე.

13. უკეთუ კომისიონერი საქონელს იმაზე ნაკლებ ფასად გაჰყიდის, რაც კომიტენტმა დაუნიშნა, იგი ვალდებულია აუნაზღაუროს ფასების განსხვავება, თუ არ დაამტკიცებს, რომ კომიტენტის მიერ დანიშნული ფასით საქონლის გაყიდვა შეუძლებელი იყო, რომ ნაკლებ ფასად გაყიდვით აცდენილია უფრო დიდი ზარალი და რომ მას, ამასთანავე, შესაძლებლობა არა ჰქონდა კომიტენტისაგან ახალი განკარგულება გამოეთხოვნა.

14. კომისიონერს უფლება არა აქვს კომიტენტის ნებადაურთველად, ხოლო მისი ხარჯით, მესამე პირს ფული წინდაწინვე გადაუხადოს ან კრედიტი გაუხსნას. წინააღმდეგ შემთხვევაში, კომისიონერი:

1) პასუხს აგებს კომიტენტის წინაშე მთლად იმ ფულისათვის, რაც წინდაწინ მისცა მესამე პირს და მთლად გახსნილი კრედიტისათვის;

2) მოვალეა, კომიტენტის მოთხოვნით, დაუყოვნებლივ დაუბრუნოს ის ფული, რაც მესამე პირებს წინდაწინვე მისცა, და მთლად გადაუხადოს ნისიად გაყიდული და გაცემული საქონლის ფასი.

კომისიონერსა და კომიტენტს შორის ამა მუხლის მე-2 პუნქტისამებრ ანგარიშის გასასწორებლად, აგრეთვე იმ შემთხვევაში, როდესაც კომიტენტი მოით-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოვს ზარალის ანაზღაურებას, მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს ის ფასი, რომლითაც შესაძლებელ იქნებოდა მესამე პირთან გარიგების დადება კრედიტის გაუხსნელად.

15. კომისიონერს შეუძლიან, უკეთუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი, ხელი აიღოს ნაკისრი მინდობილობის შესრულებაზე, ხოლო მოვალეა, ზარალისათვის პასუხისგების რადთ, თავისი უარი წერილობით აცნობოს კომიტენტს ორი კვირის ვადაზე დღიდან მინდობილობის მიღებისა. ამ შემთხვევაში კომისიონერი არა ჰკარგავს მის მიერ გაწეული ხარჯის ანაზღაურების უფლებას, ხოლო საკომისიო გასამრჯელოს მოთხოვნის უფლება კი ეკარგება.

უკეთუ კომისიონერი ხელს აიღებს ხელშეკრულებაზე იმის გამო, რომ იგი კომიტენტმა დაარღვია, მას უფლება აქვს მოითხოოს როგორც გაწეული ხარჯის საზღაური, ისე საკომისიო გასამრჯელოც.

უკეთუ კომისიონერი ხელს აიღებს ხელშეკრულებაზე იმის გამო, რომ მისი შესრულება შეუძლებელია, მას უფლება აქვს, გაწეული ხარჯის საზღაურის გარდა, მოითხოოს საკომისიო გასამრჯელო—მინდობილობის შესრულებული ნაწილის მიხედვით.

16. კომიტენტი, რომელსაც კომისიონერის მიერ ხელშეკრულებაზე ხელის აღება ეცნობა, ვალდებულია, ორი კვირის განმავლობაში დღიდან ამ ცნობის მიღებისა, უპატრონოს იმ საქონელს, რაც კომისიონერთან არის; წინააღმდეგ შემთხვევაში, კომისიონერს უფლება აქვს კომიტენტის რისკით და ხარჯით ჩააბაროს საქონელი შესანახად საქონლის საწყობს ან და სხვა გვარად სათანადოდ შეინახოს იგი, აგრეთვე მე-11 მუხლისამებრ გაჰყიდოს იგი იმის ასანაზღაურებლად, რაც მას, კომისიონერს, კომიტენტისაგან ერგება. ასეთივე უფლება კომისიონერს აქვს იმ შემთხვევაშიაც, უკეთუ კომიტენტი გააუქმებს მინდობილობას, საქონელს კი დაუყოვნებლივ არ მოუვლის.

17. როდესაც მინდობილია გაყიდვა ან ყიდვა ისეთი საქონლისა ან ფასიანი ქაღალდისა, რომელსაც აქვს ოფიციალურად გამოქვეყნებული საბაზრო ან საბირჟო ფასი, კომისიონერს, უკეთუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი, უფლება აქვს თითონ შეიძინოს კომიტენტისაგან ან მიჰყიდოს მას თავისი საქონელი თუ ფასიანი ქაღალდი იმ დღეს არსებულ ფასით, რა დღესაც კომიტენტს ცნობას გაუგზავნის ამ საქონლისა თუ ფასიანი ქაღალდის შეძენასა ან გაყიდვაზე.

შენიშვნა. უკეთუ კომისიონერი საქონელს თავისი ხარჯით და თავისი სახელით იყიდის ან გაჰყიდის, მას დაეკარგება საკომისიო გასამრჯელოს მიღებისა და კომისიასთან დაკავშირებული ხარჯის ანაზღაურების უფლება.

18. იმ თანხების უზრუნველსაყოფად, რაც კომისიონერს ერგება მინდობილობის შესრულების გამო (მუხ. 20), აგრეთვე მინდობილობის ასრულების გამოვე მის მიერ გაცემული ავანსებისა, სესხისა, თამასუქებისა ან და მესამე პირის მიმართ ნაკისრი ვალდებულების უზრუნველსაყოფად, კომისიონერს აქვს გირავნობის უფლება კომიტენტის იმ საქონელსა, ფასიან ქაღალდსა და სხვა ქონებაზე, რაც, საკომისიო ხელშეკრულების ძალით, მის ფაქტიურ მფლობელობაში ან გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგულებაშია, კერძოდ —კონსანმენტისა, სატვირთო ბარათისა და სასაწყობო მოწმობის ძალით, აგრეთვე იმ აქტისა და ნუსხის ძალით, რომლითაც კომისიონერმა მიიღო კომიტენტის - საწყობიდან საქონელი, უკეთუ აქტსა და ნუსხაში აღნიშნულ საქონელს დაესვა კომისიონერის ბეჭედი ან სხვა რამ ნიშანი, ან იგი ინახება კომისიონერის ბეჭდით დაბეჭდილ საცავში, ან და ამ საწყობს ადგილობრივ სდარაჯობენ კომისიონერის მოსამსახურენი.

19. კომისიონერს უფლება აქვს ის ფული, რაც მას საკომისიო ხელშეკრულებისამებრ კომიტენტისაგან ერგება, დაიჭიროს კომიტენტის ანგარიშზე შემოსული ყველა თანხიდან.

20. კომიტენტი მოვალეა:

ა) დაუბრუნოს კომისიონერს მინდობილობის ასრულების გამო დახარჯული თანხა, აგრეთვე ის თანხა, რაც თვითონ მას მიღებული ჰქონდა კომისიონერისაგან ავანსად ან სესხად, უკეთუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ იყო დადგენილი,—სარგებლით თვითეული ამ თანხის დახარჯვისა ან გაცემის დღიდან;

ბ) გადაუხადოს კომისიონერს სასყიდელი მისი საწყობებისა და ზიდვის საშუალებათა ხმარებისათვის და მინდობილობის შესასრულებლად დაქირავებული მუშების სასყიდელი;

გ) გაანთავისუფლოს კომისიონერი იმ ვალდებულებისაგან, რაც მან მინდობილობის შესასრულებლად იკისრა მესამე პირის მიმართ;

დ) გადაუხადოს კომისიონერს საკომისიო გასამრჯელო.

21. უკეთუ კომიტენტი ერთი თვის განმავლობაში ანგარიშის (მუხ. 6, პუნქტი „ე") მიღების დღიდან არაფერს განუცხადებს კომისიონერს ანგარიშის საწინააღმდეგოს და, უკეთუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი, ანგარიში მიღებულად ჩაითვლება.

22. უკეთუ კომიტენტის განკარგულებას მინდობილობის მთლად ან ნაწილობრივ გაუქმების შესახებ კომისიონერი მიიღებს იმ დრომდე, სანამ სათანადო გზრიგებას დასდებდეს მესამე პირთან, საკომისიო ხელშეკრულება მთლად ან ნაწილობრივ მოშლილად ჩაითვლება. ამ შემთხვევაში კომიტენტმა უნდა გადაუხადოს კომისიონერს საკომისიო გასამრჯელო იმ გარიგებისათვის, რაც მან დასდო მინდობილობის გაუქმებამდე, და აგრეთვე აუნაზღაუროს მინდობილობის შესრულებისათვის უკვე გაწეული ხარჯი.

23. საკომისიო გასამრჯელო, აგრეთვე სათავდებო გასამრჯელო (მუხ. 5) განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით, ხოლო თუ შეთანხმება არ არსებობს,—სასამართლოს შეხედულებით.

საკომისიო გასამრჯელოდ შეიძლება შეპირებულ იქნეს გარიგების თანხის განსაზღვრული პროცენტი ან ის განსხვავება ან ამ განსხვავების ნაწილი, რაც იქნება კომიტენტის მიერ დანიშნულ ფასსა და იმ, უფრო ხელსაყრელ, ფასს შორის, რომლითაც კომისიონერი დასდებს გარიგებას, ან და კიდევ სხვა რამ, ფორმით, რაც კანონით აკრძალული არ არის.

24. უკეთუ კომიტენტი მოკვდა, ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად, ან არაქმედობაუნარიანად იქნა გამოცხადებული, კომისიონერი ვალდებულია განაგრძოს მოქმედება მის მიერ ნაკისრი მინდობილობის შესასრულებლად იმ დრომდე,

ვიდრე არ მიიღებს სათანადო დირექტივს კომიტენტის უფლების მონაცვლისა ან წარმომადგენლისაგან.

უკეთუ კომიტენტს შეეზღუდა იმგვარ საკომისიო გარიგებაში მონაწილეობის მიღების უფლებაუნარიანობა, რომლისთვისაც საკომისიო ხელშეკრულება დაიდო, ეს ხელშეკრულება მოისპობა, რაც კომიტენტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს კომისიონერს. ხოლო, რამდენადაც ეს საჭირო იქნება კომისიონერის ინტერესის დასაცავად, საკომისიო ხელშეკრულებას შერჩება თავისი ძალა იმ დრომდე, ვიდრე კომისიონერი არ გაიგებს ან მას არ უნდა გაეგო კომიტენტის უფლებაუნარიანობის შეზღუდვა.

25. უკეთუ კომისიონერი მოკვდა, ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად, არაქმედობაუნარიანად, ან არაუფლებაუნარიანად იქნა გამოცხადებული, საკომისაო ხელშეკრულება მოისპობა.

ეს მუხლი არ გავრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც კომისიონერის უფლების მონაცვლე ან წარმომადგენელი განაგრძობს მის სავაჭრო საქმეს; ამ შემთხვევაში კომისიონერის უფლების მონაცვლე ან წარმომადგენელი ვალდებულია განაგრძოს მინდობილობის შესრულება იმ დრომდე, ვიდრე კომიტენტისიგან სათანადო დირექტივებს არ მიიღებს.

26. კომისიონერი ვალდებულია გადასცეს კომიტენტს ყველა მოთხოვნა მესამე პირისადმი, რომელმაც ზარალი მიაყენა კომიტენტის იმ ქონებას, რაც, საკომისიო ხელშეკრულების თანახმად, კომისიონერის ფაქტიურ მფლობელობასა და განკარგულებაშია.

კომიტენტს მხოლოდ იმ შეეთხვევაში შეუძლიან მოითხოოს მისთვის ყველა იმ მოთხოვნის გადაცემა, რაც კომისიონერს აქვს მესამე პირთან კომიტენტის ხარჯით დადებული ხელშეკრულების გამო, უკეთუ მესამე პირი დაარღვევს ხელშეკრულებას (მუხ. 5) ან უკეთუ კომისიონერი არაშემძლე მოვალედ იქნა გამოცხადებული. უკანასკნელ შემთხვევაში კომიტენტს, ამას გარდა, გადაეცემა, საერთო განაწილების წესის გარეშე, ყველა ის თანხა, რომელიც ზემოაღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, მესამე პირისგან შემოვა იმის შემდეგ, რაც კომისიონერი არაშემძლე მოვალედ გამოცხადებულ იქნა; თანაც ამ თანხიდან დაჭერილ უნდა იქნეს ის ნაწილი, რაც კომისიონერს კომიტენტისაგან ერგებოდა.

27. ბათილად ჩაითვლება მხარეთა შეთანხმება, მიმართული პასუხისმგებლობის შესამცირებლად ან კომისიონერის თუ კომიტენტის განსათავისუფლებლად იმ ვალდებულებისაგან, რაც დაეკისრა: კომისიონერს—ამა დადგენილების მე-3—4 მუხ. და მე-6 მუხ. „ე“ პუნქტით, ხოლო კომიტენტს—მე-20 მუხ. „ა“ და „გ“ პუნქტით.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ალამალი-ოღლი**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი**.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი**.

1926 წ. მარტის 15. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1131 №-ში 1926 წ. მარტის 23-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

612. **აკსფსრ-სა და მასში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატების საფინანსო კონტროლის დაწესებულებათა მიერ შესაფარდებელ დანაზღთა და სხვა საზედმოქმედო ღონისძიებათა დროებითი დებულების დამტკიცების შესახებ.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და აკსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დროებითი დებულება დანაზღთა და სხვა საზედმოქმედო ღონისძიებათა შესახებ, რასაც აკსფსრ-სა და მასში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატების საფინანსო კონტროლის დაწესებულებანი შეაფარდებენ.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ხანოიანი.**

აკსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი.**

1926 წ. თებერვლის 15. ტფილისი—სასახლე.

დროებითი დებულება აკსფსრ-სა და მასში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატების საფინანსო კონტროლის დაწესებულებათა მიერ შესაფარდებელ დანაზღთა და სხვა საზედმოქმედო ღონისძიებათა შესახებ.

1. სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტის ანგარიშების შემოწმების დროს საფინანსო კონტროლის დაწესებულების მიერ გამოაშკარავებული ზარალი და დანაკლისი, რაც მიყენებულია ანგარიშვალდებული პირის არასწორი, უკანონო და არამეურნეობრივი მოქმედებით, ან მიქცეულ უნდა იქნეს დანაზღის სახით დამნაშავეზე ზარალისა და დანაკლისის ასანაზღაურებლად, ან ეს პირი დევნილ უნდა იქნეს ადმინისტრატიულის წესით, ან და საქმე ზარალისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დანაკლისის შესახებ უნდა გადაეცეს სასამართლო დაწესებულებას სისხლის სამართლისა ან სამოქალაქო სამართლის წესით წარმოებისთვის.

შენიშვნა. დანაზღი არ დაიდება და დისციპლინარული წესით დევნა არ აღიძვრის, უკეთუ დღიდან ანგარიშის სარევიზიოდ წარდგენისა უკანონო მოქმედების გამოაშკარავებამდე 6-ს თვეზე მეტი დრო გაიცლის.

2. დანაზღს დაადებენ და დისციპლინარული ან სასამართლოს წესით დევნას აღძრავენ საკონტროლო თათბირები, რომელნიც მოეწყობიან ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის საფინანსო-საკონტროლო სამმართველოსთან, ა|კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების (აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო) ფინანსთა სახალხო კომისარიატების საფინანსო-საკონტროლო განყოფილებებთან და ამ ფინანსთა სახალხო კომისარიატების რწმუნებულებთან მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში (აფხაზეთი, აჭარისტანი და ნახიჩევანი) და ფინანსთა სახალხო კომისარიატების რწმუნებულებთან ავტონომიურ ოლქებში (მთის ყარაბაღი და სამხრეთ-ოსეთი).

3. საკონტროლო თათბირი მოეწყობა შემდეგი შედგენილობით:

ა) ა|კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის საფინანსო-საკონტროლო სამმართველოსთან—საფინანსო-საკონტროლო სამმართველოს უფროსისა ან მისი მოადგილის თავმჯდომარეობით და საფინანსო-საკონტროლო სამმართველოს სათანადო განყოფილების გამგისა, უფროსი კონტროლიორისა, რევიზიის მწარმოებლისა და ა|კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის საბიუჯეტო სამმართველოს, ა|კ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა, ა|კ. შრომის სახალხო კომისარიატისა ან ა|კ. პროფ. კავშირთა საბჭოსი და პროკურატურის მუდმივი პასუხისმგებელი წარმომადგენლების შედგენილობით.

შენიშვნა. ვიდრე ამიეოკავკასიის უზენაესი სასამართლო მოეწყობოდეს, საფინანსო-საკონტროლო სამმართველოსთან არსებულ საკონტროლო სათათბიროში პროკურატურის წარმომადგენლად მიწვეულ უნდა იქნეს მორიგეობით აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს პროკურატურის წარმომადგენელი.

ბ) ა|კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების (აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო) ფინანსთა სახალხო კომისარიატების საფინანსო-საკანტროლო განყოფილებებთან—საფინანსო საკანტროლო განყოფილების გამგისა ან მისი მოადგილის თავმჯდომარეობით და სათანადო ქვეგანყოფილების გამგისა, უფროსი კონტროლიორისა, რევიზიის მწარმოებლისა და ფინანსთა სახალხო კომისარიატის საბიუჯეტო-სახარჯთაღრიცხვო განყოფილებისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა, შრომის სახალხო კომისარიატისა ან რესპუბლიკის პროფ. კავშირთა საბჭოს და პროკურატურის მუდმივი პასუხისმგებელი წარმომადგენლების შედგენილობით;

გ) ფინანსთა სახალხო კომისარიატების რწმუნებულთა (მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში—აფხაზეთსა და აჭარისტანში) სამმართველების საფინანსო-საკონტროლო განყოფილებებთან—რწმუნებულისა ან მისი მოადგილის თავმჯდომარეობით და საფინანსო-საკონტროლო განყოფილების გამგისა, ამ განყოფილების რევიზორ-ინსტრუქტორისა და საბიუჯეტო-სახარჯთაღრიცხვო გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოფილებისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, შრომის სახალხო კომისარიატისა ან რესპუბლიკის პროფ. კავშირთა საბჭოსი და პროკურატურის მუდმივი პასუხისმგებელი წარმომადგენლების შედგენილობით;

დ) ფინანსთა სახალხო კომისარიატების სამმართველოებთან ნახიჩევანის ავტონომიურ რესპუბლიკაში და მთის ყარაბაღისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქებში — ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის თავმჯდომარეობით და უფროსი კონტროლიორისა, აგრეთვე საბიუჯეტო-სახარჯთაღრიცხვო და ადგილობრივი ფინანსების ქვეგანყოფილებათა, მუშათა და გლეხთა ინსპექციისა, შრომისა ან პროფ. კავშირთა და პროკურატურის სათანადო ორგანოების მუდმივი პასუხისმგებელი წარმომადგენლების შედგენილობით;

ე) სამაზრო საფინანსო განყოფილებებთან — სამაზრო საფინანსო განყოფილების გამგის თავმჯდომარეობით და საკონტროლო ქვეგანყოფილების გამგისა, ადგილობრივი ფინანსების ქვეგანყოფილების გამგისა, შრომის ინსპექტორისა ან სამაზრო პროფ. კავშ. ბიუროს მდივნის და პროკურორის ამხანაგის (მაზრაში) შედგენილობით.

შენიშვნა. ადგილობრივ სახსართათვის მიყენებული ზარალისა და დანაკლისის საქმეების გამო საფინანსო-საკონტროლო სამმართველოსთან და საფინანსო-საკონტროლო განყოფილებასთან არსებულ საკონტროლო თათბირში, ა.კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის საბიუჯეტო სამმართველოს ან საბიუჯეტო-სახარჯთაღრიცხვო განყოფილების წარმომადგენლის ნაცვლად, შეავ ადგილობრივი ფინანსების სამმართველოს ან ადგილობრივი ფინანსების განყოფილების წარმომადგენელი.

4. უკეთუ რევიზიის დროს გამოაშკარავებულია დანაშაულებრივი ქმედობის ნიშნები, რაც სისხლის სამართლის წესით დევნილ უნდა იქნეს, დანაზღი და გადასახდელი საკონტროლო თათბირის მიერ არ დაიდება; ხოლო საფინანსო კონტროლის სათანადო დაწესებულება აღძრავს დევნას სასამართლოს წესით და პასუხისმგებლობას ზარალისა და დანაკლისისათვის სასამართლო დაადგენს. ამისთანა საქმის გამო სამოქალაქო სარჩელს სისხლის სამართლის სასამართლოში წარადგენს საფინანსო კონტროლის ის დაწესებულება, რომელმაც არაკანონიერი მოქმედება გამოაშკარავა, და რომელიც ჩაერევა სასამართლოს პროცესში, როგორც ხაზინის ინტერესების წარმომადგენელი, მოსარჩლეს ყველა უფლება მოვალეობით.

უკეთუ სისხლის სამართლის წესით დევნა სასამართლომ მოსპო, მიყენებული ზარალისა და დანაკლისის საქმეს მიეცემა მსვლელობა სარევიზიო წესით ამა დებულებაში აღნიშნულ საფუძველზე.

5. უკეთუ ზარალისა და დანაკლისის ამა თუ იმ საქმის გადასაწყვეტად საჭიროა განსაკუთრებით რთული ანგარიშის წარმოება ან გამოკვლევა, საფინანსო კონტროლის დაწესებულებას უფლება აქვს, თავისი საკონტროლო თათბირის დადგენილებისამებრ, უშუალოდ წარმართოს საქმე სასამართლო დაწესებულების განსახილველად სამოქალაქო სამართლის წესით; ამასთანავე იგი ჩაერევა სამოქალაქო პროცესში, მოსარჩელეს ყველა უფლება მოვალეობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. უკეთუ რევიზიის დროს გამოაშკარავებულია ისეთი მოქმედება, რომ საკმარისი საბუთი არ არის დამნაშავე თანამდებობის პირის სისხლის სამართლის წესით პასუხისგებაში მისაცემად (მუხ. მე-4), ხოლო მაინც ამ მოქმედებით გამოწვეულია სახელმწიფო და ადგილობრივ სახსართა ზარალი და დანაკლისი, საკონტროლო თათბირს უფლება აქვს, დანაზღის დადების საკითხის წინასწარ გადაუწყვეტლად, აღძრას საქმე დისციპლინარულ სამართალში მიცემისათვის ან დისციპლინარული გადასახდელის დადებისათვის დამნაშავე თანამდებობის პირის უფროსის მეშვეობით. პირველ შემთხვევაში, ე. ი., უკეთუ დამნაშავე პირი დისციპლინარულ სამართალში იქნა მიცემული, საკონტროლო თათბირის დადგენილება სათანადო დისციპლინარულ სასამართლოს გაეგზავნება დისციპლინარულ სასამართლოთა შესახებ გამოცემულ დებულებაში აღნიშნული წესისამებრ; მეორე შემთხვევაში—საკონტროლო თათბირის დადგენილება დამნაშავე თანამდებობის პირის უფროსს გაეგზავნება დისციპლინარული გადასახდელის დადებისათვის.

შენიშვნა. პირადი ფულადი ან სანატურო კმაყოფის გადანაჭარბისათვის დამნაშავე დევნილ უნდა იქნეს მარტოოდენ დანაზღის დადების წესისამებრ.

7. უკეთუ განმკარგულებელი სამმართველოს ანგარიშგების რევიზიის დროს გამოაშკარავებულია სახელმწიფო ბიუჯეტის თანხების არასწორი, არაკანონიერი და არამეურნეობრივი ხარჯვა, ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის საფინანსო-საკონტროლო სამმართველოსთან არსებულ საკონტროლო თათბირს უფლება აქვს:

ა) ა|კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის მეშვეობით წანადადება წარუდგინოს ა|კსფსრ სახალხო სამართა საბჭოს, რათა აღნიშნული განმაკარგულებელი სამმართველოსათვის გადადებული კრედიტი შემცირებულ იქნეს სათანადო თანხით; თანაც განმკარგულებელი სამმართველოსათვის, ხარჯთა განაწერის მიხედვით, გახსნილი კრედიტის შესაბამი თანხის დახარჯვა ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროებიდან, გარდა სამუშაო ხელფასის გადაუხდელი კრედიტებისა, საკონტროლო თათბირის დადგენილებით, შეიძლება აკრძალულ იქნეს, ვიდრე საქმეს ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო გადასწყვეტდეს;

ბ) დროებით, ა|კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, განმკარგულებელი სამმართველოს საოპერაციო ხარჯები დაუქვემდებაროს წინასწარ კონტროლს.

ა|კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების (აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო) ფინანსთა სახალხო კომისარიატებისა და მათი რწმუნებულების (მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში) საფინანსო-საკოხტროლო განყოფილებებთან და ფინაასთა სახალხო კომისარიატების რწმუნებულების (ავტონომიურ ოლქებში) სამმართველოებთან არსებული საკონტროლო თათბირები თავიანთ დადგენილებებს კრედიტების შემცირებისა და წინასწარი რევიზიის დაწესების შესახებ წარადგენენ კუთვნილებისამებრ—ა|კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის საფინანაო სამმართველოში და ა|კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების (აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო) ფინანსთა სახალხო კომისარიატების საფინანსო-სა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონტროლო განყოფილებებში, რომლებზედაც დამოკიდებულია საქმის შემდგომი წარმართვა.

8. საკონტროლო თათბირის დადგენილება დანაზღისა ან დისციპლინარული გადასახდელის დადების შესახებ ეცნობება მეანგარიშე დაწესებულებას ან ანგარიშვალდებულ ცალკე პირის უახლოეს უფროსს, რათა განკარგულება მოახდინონ. აღსრულების შესახებ.

9. დანაზღისა ან დისციპლინარული გადასახდელის შესახებ გამოტანილი დადგენილების მიღებისათანავე მეანგარიშე დაწესებულების უფროსი სამის დღის ვადაზე ვაუგზავნის შეტყობინებას იმ პირს, რომელსაც დანაზღისა ან გადასახდელისათვის პასუხისმგებლობა ედება.

უკეთუ მეანგარიშე დაწესებულების უფროსი თანახმა არ არის საკონტროლო თათბირის დადგენილებისა, იგი, ორი კვირის განმავლობაში დღიდან დადგენილების მიღებისა, აცნობებს საფინანსო კონტროლის დაწესებულებას თავის პროტესტს, რომელშიაც დაწვრილებით აღნიშნავს იმ საფუძვლებს, რის გამოისობითაც მას შეუძლებლად მიაჩნია დაეთანხმოს დადგენილებას.

10. იმ პირს, რომელზედაც მიქცეულია აღსასრულებლად საკონტროლო თათბირის დადგენილება, შეუძლიან, თავისი მხრით, განასაჩივროს ეს დადგენილება უმაღლეს საკონტროლო ინსტანციაში ორი კვირის ვადაზე იმ დღიდან, რა დღესაც მას ჩაჰბარდა შეტყობინება დანაზღისა თუ გადასახდელის დადების შესახებ (მუხ. 9). საჩივარი შეიტანება ფინკონტროლის იმ დაწესებულების მეშვეობით, რომლის დადგენილებაც განისაჩივრება დანაზღისა და გადასახდელის დადების გამო.

11. ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატების და მათი რწმუნებულების (მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში) საფინანსო-საკონტროლო განყოფილებებთან და საფინანსო სახალხო კომისარიატების რწმუნებულების (ავტონომიურ ოლქებში) სამმართველოებთან არსებული საკონტროლო თათბირების მიერ ა/კსფსრ (ფედერატიული) სახელმწიფო ბიუჯეტის თანხების ზარალისა და დანაკლისის შესახებ გამოტანილ დადგენილებებზე პროტესტი და საჩივარი წარიმართება საინსტანციო წესით სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებულ საკონტროლო საბჭოში (მუხ. 15), რომლის გადაწყვეტილებაც შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს ა/კ. ფინანსთა სახალხო კომისაიატთან არსებულ ა/კსფსრ საკონტროლო საბჭოში (მუხ. 16).

ა|კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის საფინანსო-საკონტროლო სამმართველოსთან არსებული საკონტროლო თათბირის მიერ ა|კსფსრ (ფედერატიული) სახელმწიფო ბიუჯეტის თანხების ზარალისა და დანაკლისის შესახებ გამოტანილ დადგენილებაზე პროტესტი და საჩივარი წარიმართება ა|კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებულ ა|კსფსრ საკონტროლო საბჭოში,

შენიშვნა. ა|კ ფინანსთა სახალხო კომისარიატის საფინანსო-საკონტროლო სამმართველოსთან, ა|კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების (აზერბაიჯანი, სომხეთი, საქართველო) ფინანსთა სახალხო კომისარიატებისა და მათი რწმუნებულების (მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში) საფინანსო-საკონტროლო განყოფილებებთან და იმა-

ვე რწმუნებულების (ავტონომიურ ოლქებში) სამმართველოებთან არსებული საკონტროლო თათბირების მიერ საერთო-საკავშირო ბიუჯეტის თანხების ზარალისა და დანაკლისის შესახებ გამოტანილ დადგენილებებზე ისეთი საქმეების გამო, რაც აღიძვრის საერთო-საკავშირო უწყების ანგარიშგების რევიზიის დროს, და ავრეთვე გაერთიანებული უწყების შემოსავალ-გასავლის ანგარიშგების იმ ნაწილის რევიზიის დროს, რომელიც საერთო-საკავშირო ბიუჯეტს ეხება, — ტესტი და საჩივარი წარიმართება საინსტანციო წესისამებრ, რაც დამყარებულ იქნება საერთო-საკავშირო კანონმდებლობით.

12. აკსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატების საფინანსო-საკონტროლო განყოფილებებთან არსებული საკონტროლო თათბირების მიერ ზარალისა და დანაკლისის შესახებ გამოტანილ დადგენილებებზე ისეთი საქმეების გამო, რაც აღიძვრის რესპუბლიკანური ბიუჯეტისათვის შედგენილი ანგარიშგების რევიზიის დროს, — პროტესტი და საჩივარი წარიმართება სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებულ საკონტროლო საბჭოში, რომლის გადაწყვეტილებაც სიბოლოოა.

13. ფინანსთა სახალხო კომისარიატების რწმუნებულების (მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში) საფინანსო-საკონტროლო განყოფილებებთან და იმავე რწმუნებულების (ავტონომიურ ოლქებში) სამმართველოებთან არსებული საკონტროლო თათბირების მიერ ზარალისა და დანაკლისის შესახებ გამოტანილ დადგენილებებზე ისეთი საქმეების გამო, რაც აღიძვრის რესპუბლიკანური ბიუჯეტისათვის შედგენილი ანგარიშგების რევიზიის დროს, — პროტესტი და საჩივარი წარიმართება აკსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატების საფინანსო-საკონტროლო განყოფილებებთან არსებულ საფინანსო-საკონტროლო თათბირებში; უკეთუ საფინანსო-საკონტროლო თათბირის გადაწყვეტილებაზე თანხმობა არ იქნება განცხადებული, თათბირის ის გადაწყვეტილება, რომელიც ორიათას მან. მეტ თანხას ეხება, შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებულ საკონტროლო საბჭოში, რომლის გადაწყვეტილებაც საბოლოოა.

14. აკსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებთან არსებული საკონტროლო საბჭოები (მუხ. 15) თავიანთ გადაწყვეტილებათ სამი დღის განმავლობაში წარმართავენ აკსფსრ საკონტროლო საბჭოში (მუხ. 16), რომელსაც უფლება აქვს, უკეთუ დარღვეულია ფედერატიული და საკავშირო კანონმდებლობა, ზედამხედველობის წესით ერთი თვის ვადაზე, უკან დააბრუნოს ზემოხსენებული გადაწყვეტილებანი გადასინჯისათვის.

15. აკსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებთან არსებული საკონტროლო საბჭოები მოიწყობიან: ფინანსთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრის თავმჯდომარეობით და საფინანსო-საკონტროლო განყოფილების მმართველისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრისა, შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრისა და უზენაესი სასამართლოს პროკურორის შედგენილობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კოლეგიის წევრებს დანიშნავს სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო. საფინანსო-საკონტროლო განყოფილების მმართველი საკონტროლო საბჭოს შედგენილობაში შედის თვისი თანამდებობისამებრ.

16. ა|კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებული საკონტროლო საბჭო მოეწყობა ა|კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრის თავმჯდომარეობით და საფინანსო საკონტროლო სამმართველოს უფროსისა ან მისი მოადგილისა, ა|კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრისა, ა|კ. შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრისა და, ამა დებულების მე-3 მუხ. შენიშვნის „ა" პუნ. წესისამებრ, მიწვეული პროკურატურის წარმომადგენლის შედგენილობით.

კოლეგიის წევრებს დანიშნავს ა|კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, ხოლო პროკურატურის წარმომადგენელს- სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო. საფინანსო საკონტროლო სამმართველოს უფროსი ან მისი მოადგილე შედის საბჭოს შედგენილობაში თვისი თანამდებობისამებრ.

17. ა|კ. ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებული საკონტროლო საბჭოს დადგენილება საბოლოოა და არ განისაჩივრება.

18. ფინანსთა სახალხო კომისარიატებისა და მათი რწმუნებულების (მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში) საფინანსო-საკონტროლო განყოფილებებთან და იმავე რწმუნებულების (ავტონომიურ ოლქებში) სამმართველოებთან არსებული საკონტროლო თათბირების მიერ ადგილობრივ სახსართა ზარალისა და დანაკლისის შესახებ გამოტანილ დადგენილებებზე პროტესტი და საჩივარი შეიტანება სათანადო რესპუბლიკის თუ ოლქის სახალხო კომისართა საბჭოს სახელზე ფინანსთა სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოს მეშვეობით და მისივე დასკვნითურთ.

19. სამაზრო საფინანსო განყოფილებებთან არსებული საკონტროლო თათბირების მიერ ადგილობრივ სახსართა ზარალისა და დანაკლისის შესახებ გამოტანილ დადგენილებებზე პროტესტი და საჩივარი წარედგინება განსახილველად ა|კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატების საფინანსო-საკონტროლო განყოფილებებთან არსებულ საკონტროლო თათბირებს, ან ფინანსთა სახალხო კომისარიატების რწმუნებულების (მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში) საფინანსო საკონტროლო განყოფილებებთან არსებულ საკონტროლო თათბირებს, ან და იმავე რწმუნებულების (ავტონომიურ ოლქებში) სამმართველოებთან არსებულ საკონტროლო თათბირებს—კუთვნილებისამებრ.

ა|კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატების და მათ რწმუნებულების (მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში) საფინანსო-საკონტროლო განყოფილებებთან და იმავე რწმუნებულების (ავტონომიურ ოლქებში) სამმართველოებთან არსებულ საკონტროლო თათბირების დადგენილებებზე პროტესტი და საჩივარი წარიმართება სათანადო რესპუბლიკის ან ოლქის სახალხო კომისართა საბჭოში, ფინანსთა სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოს მეშვეობით და მისივე დასკვნითურთ. სახალხო კომისართა საბჭოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ განისაჩივრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

20. მეანგარიშე დაწესებულების პროტესტისა ან დანაზღ თუ დისციპლინარულ გადასახდელ-დადებული პირის საჩივრის მიღებისას, საფინანსო კონტროლის დაწესებულება, ორი კვირის ვადაზე, წარუდგენს განსახილველად ზემოხსენებულ პროტესტს თუ საჩივარს, თავის დასკვნითურთ, უმაღლეს ინსტანციას (მუხ. 11-19)—კუთვნილებისამებრ.

21. საფინანსო კონტროლის დაწესებულების დადგენილება დანაზღის შესახებ აღსრულებაში მოიყვანება უდავო გადასახდელთა გადახდევინების წესისამებრ, რაც დადგენილია გადასახადთა და გამოსაღებთა გადახდევინების დებულებით (სსრკ კან. კრებ. 1925 წ. 70 №-რი, მუხ. 518). დანაზღ-მიქცეული პირის მიერ საჩივრის შეტანა დანაზღის დადების შესახებ გამოტანილ დადგენილებაზე ვერ შეაჩერებს დანაზღის გადახდევინებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დანაზღის გადახდევინების შეჩერების შესახებ გაიცემა განკარგულება უმაღლესი ინსტანციის მიერ. ის დადგენილება დანაზღის შესახებ, რომელზედაც უწყება პროტესტს შეიტანს, აღსრულებაში მოიყვანება მხოლოდ საბოლოო დამტკიცების შემდეგ.

22. დანაზღის გადახდევინება მიიქცევა:

ა) დანაზღ-დადებული პირის ქონებაზე;

ბ) იმ თანხაზე, რაც მას ერგება მესამე პირთაგან, მათ შორის საბჭოთა დაწესებულებისაგან;

გ) მის კუთვნილ თანხაზე, რაც საკრედიტო დაწესებულებაშია მიმდინარე ანგარიშზე და

დ) დანაზღ-დადებული პირის სამუშაო ხელფასზე.

შენიშვნა 1. დანაზღ-დადებული პირის ქონებას („ა" პუნქ.) გადასახდელი გადაჰხდება ფინანსთა სახალხო კომისარიატისა ან მისი რწმუნებულის განკარგულებით იმ წესისამებრ, რაც დადგენილია გადასახადთა და გამოსაღებთა გადხდევინების დებულებით, ამ დებულების მე-17 მუხ. ჩამოთვლილ ქონებათა გამოკლებით.

შენიშვნა 2. დანაზღის განსაზღრულ თანხას პროცენტი არ დაერიცხება.

შენიშვნა 3. „ბ" და „გ" პუნქტების მიხედვით დანაზღის გადახდევინება მოხდება სასამართლოს წესით. სასამართლოსადმი მიმართვა შეადგენს ანგარიშვალდებული დაწესებულებისა თუ პირის მოვალეობას.

შენიშვნა. 4. სამუშაო ხელფასიდან გადასახდელის დაჭერა მოხდება აკსფსრ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსით საამისოდ დადგენილ წესისამებრ.

23. ყველა დაწესებულება და საწარმო, როგორც სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი, ისე კერძო, აგრეთვე ყველა კერძო პირი მოვალეა მიაწოდოს საფინანსო კონტროლის დაწესებულებას, მისი მოთხოვნისამებრ და მისგანვე დადებულ ვადაზე, ცხობა: ირიცხება თუ არა მის სამსახურში დანაზღ-დადებული პირი და რა თანხა ერგება მას მიმდინარე თვეში ყოველგვარი მუდმივი კმაყოფის სახით და ერთდროულად მისაცემი. უკეთუ საფინანსო კონტროლის დაწესებულების მიერ მოთხოვნილი ცნობები წარდგენილ არ იქნა ან აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სრულებულ არ იქნა მისივე მოთხოვნა დადებული დანაზღის გადახდევინების შესახებ,—ის პირი და ის დაწესებულება, ვის სამსახურშიაც დანაზღ-დადებული პირი იმყოფება, პასუხს აგებს ხაზინის წინაშე იმ თანხის რაოდენობით, რაც დაჭერილ უნდა ყოფილიყო.

24. დანაზღის შესახებ მიღებული საბოლოო დადგენილების განსაჩივრება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო, შეიძლება არა უგვიანეს სამი წლისა ხსენებული დადგენილების გამოტანის დღიდან. ასეთი საჩივარი შეიტანება ამა დადგენილების მე-10 მუხ. აღნიშნულ წესისამებრ.

25. სახელმწიფო ბიუჯეტის ზარალისა და დანაკლისისთვის დადებული დანაზღის მოხსნა სათანადო წესით განსაზღრულ შემთხვევაში, დამნაშავე პირის უსახსრობის გამო ან გადახდევინების უიმედობის გამო, მოხდება ფინანსთა სახალხო კომისარიატის საფინანსო-საკონტროლო განყოფილებასთან არსებული საკონტროლო თათბირის დადგენილებით 5.000 მანეთამდე; ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის (მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში) საფინანსო-საკონტროლო განყოფილებასთან არსებული საკონტროლო თათბირის დადგენილებით—3.000 მანეთამდე და იმავე კომისარიატის რწმუნებულის (ავტონომიურ ოლქში) სამმართველოსთან არსებული საკონტროლო თათბირის დადგენილებით—1.000 მანეთამდე. საკითხი ამ რაოდენობაზე მეტი თანხის დანაზღის მოხსნის შესახებ აკსფსრ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატის საფინანსო-საკონტროლო განყოფილების მიერ, იმავე კომისარიატის რწმუნებულის (მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში) საფინანსო-საკონტროლო განყოფილების მიერ და იმავე კომისარიატის რწმუნებულის (ავტონომიურ ოლქში) სამმართველოს მიერ წარედგინება, მათთან არსებული საკონტროლო თათბირის დასკვნითურთ, მაღლამდგომ საკონტროლო თათბირს დასამტკიცებლად.

26. ადგილობრივ სახსართა ზარალისა და დანაკლისისთვის დადებული დანაზღის მოხსნა სათანადო წესით განსაზღვრულ შემთხვევაში, დამნაშავე პირის უსახსრობის გამო ან გადახდევინების უიმედობის გამო, მოხდება ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და მის რწმუნებულთან (მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში) და ოლქში) დაარსებულ საკონტროლო სბჭოს დადგენილებით —1.000 მანეთამდე, ხოლო სათანადო სახალხო კომისართა სბჭოს დადგენილებით ყოველი რაოდენობის თანხა.

27. აკ. ფინანსთა სახალხო კომისარიატის საფინანსო-საკონტროლო სამმართველოსთან არსებული საკონტროლო თათბირი მოხსნის დამნაშავე პირს, უსახსრობის გამო ან გადახდევინების უიმედობის გამო, ყოველი რაოდენობის თანხის აკსფსრ ბიუჯეტში გატარებული ხარჯთაღრიცხვებისა და ფონდების ფარგალში.

შენიშვნა. საერთო საკავშირო უწყების ხარჯთაღრიცხვის ფარგალში და გაერთიანებული უწყების შემოსავალ-გასავლის აღრიცხვის იმ ნაწილის ფარგალში, რომელიც გატარებულია საერთო-საკავშირო ბიუჯეტში, დანაზღის მოხსნა მოხდება საერთო-საკავშირო კანონმდებლობით დადგენილ წესისამებრ.

ეამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1131 № ში 1926 წ. მარტის 23-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა|კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან, ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატებთან და ა/კ. პროფ. კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით—ვამტკიცებ.

ა/კ. ფინანსთა სახ. კომისრის
მოადგილე **ვ ე ნ კ ი ნ ი.**

1926 წ. მარტის 4.

ინსტრუქცია

613. სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ „სახვითი ხელოვნების მომუშავეთათვის გადასახადის გადახდევინების თაობაზე" 1925 წ. მარტის 9-ს თარიღით გამოცემული დადგენილების შესაფარდებლად ა|კსფსრ ტერიტორიაზე.

§ 1. ა|კსფსრ ფარგლებში მცხოვრები სახვითი ხელოვნების მომუშავენი (მხატვარნი) გადასახადის გადახდის სფეროში გაუთანაბრდებიან საქირავნო მომუშავეთ, უკეთუ მათ პროფესიონალური კავშირის წევრად ყოფნის უფლება აქვთ და სამუშაოს საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის შრომის სახალხო კომისარიატების ორგანოების მეშვეობით იღებენ, ხელოვნების მომუშავეთა პროფესიონალური კავშირის ორგანოების მიერ ვიზადასმული ხელშეკრულების თანახმად.

§ 2. სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. მარტის 9-ს დადგენილებისა და ამა ინსტრუქციის შეფარდება ა|კსფსრ ტერიტორიაზე დაიწყება 1924-25 საბიუჯეტო წლის მეორე ნახევარწლიდან.

§ 3. ამა ინსტრუქციის 1-ლ §-ში აღნიშნული სახვითი ხელოვნების მომუშავების (მხატვარნი) მიერ 1924-25 წ. მეორე ნახევარწლისთვის აღებული სასარეწაო პატენტის ფასი, აგრეთვე ზედმეტად გადახდილი საშემოსავლო გადასახადის თანხა (განსხვავება „ა" კატეგორიის განაკვეთსა და „ბ" კატეგორიის მე-V ჯგუფ შორის) უნდა დაებრუნოს ან ჩაეთვალოს გადამხდელს. მისი განცხადებისამებრ, რომელსაც იგი შეიტანს ა|კსფსრ-ში შემავალი საბანადო რესპუბლიკის ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებულ საგადასახადო განყოფილებაში. ასეთი განცხადება თავისუფალია საღერბო გამოსაღებისაგან.

§ 4. საკითხს იმის შესახებ—შეესაბამება თუ არა სახვითი ხელოვნების ესა, თუ ის მომუშავე იმ პირობებს, რაც მას საქირავნო შრომის პირთ გაუთანაბრებს, გამოარკვევს საგადასახადო ორგანო მით, რომ გაეცნობა სამუშაოს მიმცემთან შრომის ბირჟის ფურცელს საქმის შესრულებისას, ანგარიშის გასწორების წიგნაკს ან სახვითი ხელოვნების მომუშავესთან დადებულ საშრომო ხელშეკრულებას.

§ 5. სახვითი ხელოვნების მომუშავე, რომელიც არ უდგება ამა ინსტრუქციის 1-ლ §-ში აღნიშნულ პირობებს ან, თუნდაც უდგებოდეს კიდეც ამ პირო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბებს, მაინც, ამასთან ერთად, ასრულებს ხოლმე შენაკვეთ საქმეს 1-ლ §-ში აღნიშნული წესის გარეშე,—დაიბეგვრება საშემოსავლო გადასახადით საერთო წესისამებრ.

საგადასახადო სამმართველოს უფროსის მოადგილე **დავიდოვი.**

პირდაპირ გადასახადთა განყ. მმართველის მაგიერ **ისააკოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1131 №-ში 1926 წ. მარტის 23-ს.

ცირკულარი № 7 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა

1926 წ. თებერვლის 27.

614. შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიისა, მომრიგებელი კამერისა და სამედიატორო სასამართლოს მიერ საშრომო საქმეების გამო მიღებულ გადაწყვეტილებათა იძულებით აღსრულების წესის შესახებ.

რადგანაც საჭიროება მოითხოვს შემოღებულ იქნეს ამიერკავკასიის ფედერაციის ტერიტორიაზე თანაბარი პრაქტიკა შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიებისა, მომრიგებელი კამერებისა და სამედიატორო სასამართლოების მიერ საშრომო საქმეებზე გამოტანილ გადაწყვეტილებათა იძულებითი წესით შესრულებისათვის წასამართვად ა|ბ შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. უკეთუ შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოსთან არსებული სამედიატორო სასამართლო მოეწყობა ცალმხრივი მოთხოვნით, შრომის კანონთა კოდექსის 171 მუხ. მე-2 ნაწილის წესისამებრ, სამედიატორო წერილის შედგენა სავალდებულო არ არის.

2. ა|კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსების მოთხოვნა, რომ სამედიატორო წერილი სამოქალაქო საქმეზე აუცილებლად სანოტარო წესით იყოს შემოწმებული, არ შეეფარდება იმ სამედიატორო სასამართლოს წერილს, რომელიც შრომის კანონთა კოდექსის 168, 170 და 171 მუხ. აღნიშნულ წესისამებრ მოეწყობა, რადგანაც ამ სასამართლოს აუცილებლად რეგისტრაცია უნდა გაუკეთდეს შრომის სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოში.

3. უკეთუ საჭირო იქნება სამედიატორო სასამართლოს მიერ დამქირავებლის წინააღმდეგ გამოტანილი გადაწყვეტილების იძულებით აღსრულება, გადამხდევინებელი ან სათანადო პროფესიონალური კავშირი წარადგენს ადგილობრივ სახალხო სასამართლოში სამედიატორო წერილისა და გადაწყვეტილების ასლს, რაც შემოწმებულ უნდა იქნეს შრომის სახალხო კომისარიატის იმ ორგანოს მიერ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელმაც წერილი შეადგინა; ამას გარდა, გადაწყვეტილების ასლს იგივე ორგანო შრომის სახალხო კომისარიატისა გაუკეთებს წარწერას იმის შესახებ, რომ გადაწყვეტილება შეესაბამება შრომის კანონებსა და საშრომო საქმეთა გამო სამედიატორო სასამართლოებისათვის დადგენილ წესებს.

4. შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიისა და მომრიგებელი კამერის ერთხმად მიღებული დადგენილება, უკეთუ მას დამქირავებელი არ შეასრულებს, შეიძლება გადაეცეს იძულებითი აღსრულებისათვის ადგილობრივ სახალხო სასამართლოს. შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიისა და მომრიგებელი კამერის დადგენილების ასლს შრომის სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანო გაუკეთებს წარწერას, რითაც დამოწმებულ იქნება, რომ შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიისა ან მომრიგებელი კამერის დადგენილება კანონიერია საქმის ქვემდებარეობის თვალსაზრისით და რომ გადაწყვეტილება შეესაბამება შრომის მოქმედ კანონმდებლობას და შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიებისათვის და მომრიგებელი კამერებისათვის დადგენილ წესებს.

5. კანონიერების შესახებ ვიზის გაკეთება შრომის სახალხო კომისარიატის სამაზრო ორგანოსთან არსებული შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიისა და მომრიგებელი კამერის გადაწყვეტილებისათვის დაეკისრება მაზრებში—შრომის სახალხო კომისარიატის სამაზრო ორგანოს, ხოლო აკსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების დედა-ქალაქებში—საშრომო საქმეთა ზედამხედველობის რესპუბლიკანურ ბიუროს; ამიერკავკასიის რკინის გზაზე—შრომის საუბნო ინსპექტორის მოქმედების რაიონში—შრომის სათანადო საუბნო ინსპექტორს, ხოლო ცენტრში—შრომის სარკინისგზო ინსპექტორის.

6. უკეთუ კანონიერების თვალსაზრისით შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიისა და მომრიგებელი კამერის გადაწყვეტილება ეჭვს იწვევს, შრომის სახალხო კომისარიატის სამაზრო ორგანომ და შრომის საუბნო ინსპექტორმა თავი უნდა შეიკავოს შემოწმებაზე და გადაწყვეტილება წარმართოს შრომის სახალხო კომისარიატის იმ ორგანოში, რომელიც მასზე მაღლა სდგას.

7. სახალხო მოსამართლის მიერ, შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოს წარწერის თანახმად, აღმასრულებელი ფურცელის გაცემის წესი, აგრეთვე სახალხო მოსამართლის მიერ, შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიისა ან მომრიგებელი კამერის გადაწყვეტილების შესასრულებლად, გასაცემი აღმასრულებელი ფურცელის მიუცემლობის შესახებ გამოტანილი გადაწყვეტილების განსაჩივრების წესი დამყარდება აკსფსრ-ში შემავალი სათანადო რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატისა და იუსტიციის სახალხო კომისარიატის შეთანხმებით, შრომის კანონთა კოდექსის 174 მუხლისამებრ.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარი **ს. იაკუბოვი.**

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის
ზედამხედ. ბიუროს გამგე **ლ. თუმანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1131 №-ში 1926 წ. მარტის 23-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 13 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1926 წ. თებერვლის 27.

615. კოლექტიური ხელშეკრულობის რეგისტრაციის წესების დამატების შესახებ.

რათა თავიდან აცილებულ იქნეს შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოებში კოლექტიურ ხელშეკრულებათა რეგისტრაციის დაყოვნება, ამიყრკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის 1922 წ. სექტემბრის 30-ს თარიღისა და მე-13 №-რის დადგენილებას კოლექტიურ ხელშეკრულებათა რეგისტრაციის წესის შესახებ (გამოქვეყნებული „ა/კსფსრ შრომის მომქმედი კანონმდებლობის“ კრებულში, 1926 წ. გამოცემა) დაემატოს მე-8 მუხლის შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„მხარეთა მიერ მისაგებელის წარუდგენლობა სამი დღის განმავლობაში, შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოს წინადადების ჩაბარების დღიდან, ჩათვლება თანხმობის გამოთქმად შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოს მიერ ხელშეკრულებაში განზრახული ცვლილების შეტანაზე“.

ა/კ. შრომის სახალხო კომისარი **ს. იაკუბოვი.**

ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატის
სატარ.-საკონფლ. განყოფ. გამგის მაგიერ ლ. **თუმანოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1131 №-ში 1926 წ. მარტის 23-ს.

ცირკულარი № 10 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1926 წ. მარტის 5.

616. სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს მიერ „სოციალური დაზღვევის წესისამებრ გასაცემი პენსიის ნორმების თაობაზე“ 1926 წ. იანვრის 4-ს თარიღითა და 6-900 №-რით გამოცემული დადგენილების განხორციელებისათვის ა/კსფსრ დამზღვევი ორგანოების მიერ გაწეული მუშაობის აღნუსხვის შესახებ.

სსრკ შრომის სახალხო კომისარიატის დირექტივების თანახმად და სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს მიერ „სოციალური დაზღვევის წესისამებრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასაცემი პენსიის ნორმების თაობაზე“ 1926 წ. იანვრის 4-ს თარიღითა და 6-900 №-რით გამოცემული დადგენილების (გამოქვეყნებულია „ა|კ. შრ. სახ. კომ. შრომის კანმდ. ვესტნიკ“-ის 1926 წ. 1-ლ №-ში) განხორციელებისთვის ა|კსფსრ დამზღვევი ორგანოების მიერ წარმოებული მუშაობის აღნუსხვის მიზნით,— ა|კ. შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. ყოველთვე, არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 10-ს რიცხვისა, წარდგენილ უნდა იქნეს, ამასთანავე დართული ფორმით, ა|კ. შრომის სახალხო კომისარიატის სოციალური დაზღვევის მთავარ სამმართველოში სარეს-პუბლიკო საჯუმლო ანგარიში საპენსიო საქმეთა გადასინჯისათვის წარმოებული მუშაობისა.

2. ანგარიშის შედგენის დროს სახელმძღვანელოდ მიღებულ უნდა იქნეს შემდეგი: მე-2—5 გრაფები შეივსება გასინჯულ და არა გასინჯულ საქმეთა რაოდენობის გამოანგარიშების მიხედვით. მე-6 გრ. შეივსება იმ თანხის გამოთვლის თანახმად, რაც, საანგარიშო თვის განმავლობაში გადასინჯულ საქმეთა მიხედვით, გადახდილ უნდა იქნეს ძველი ნორმის პენსიის გამოანგარიშების მიხედვით. მე-7—8 გრ. დაისმის თვიური პენსიების თანხა, რაც პენსიონერებს საანგარიშო თვეში ერგებათ ახლად დაწესებული ნორმების მიხედვით.

3. პირველი ანგარიში წარდგენილ უნდა იქნეს მთელი დროისათვის, საპენსიო საქმეების გადასინჯვის დაწყებიდან, ვიდრე მარტის 30-დე—ამითურთ.

ა|კ. შრომის სახალხო კომისარი **ს. იაკუბოვი.**

ა/კ. შრ. სახ. კ-ტის სოც. დაზღვ. მთავ. სამმართ. უფროსი **ა. იაშვილი**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1131 №-ში 1926 წ. მარტის 23-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

617. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1926 წ. მარტის 20-ს ამინისტიის გავრცელების შესახებ კავკასიის წითელდროშიანი არმიის წითელარმიელებზე და სამხედრო მსახურებზე.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1926 წლის მარტის 20-ს ამინისტია გავრცელებულ იქნეს:

1) კავკასიის წითელდროშიანი არმიის იმ წითელარმიელებზე და სამხედრო მსახურებზე, რომელნიც მიცემულ არიან წინასწარ გამოძიებაში საქართველოს სსრ ფარგლებში ამა მარტის 21-დე ჩადენილი დანაშაულისათვის.

2) კავკასიის წითელდროშიანი არმიის იმ წითელარმიელებზე და სამხედრო მსახურებზე, რომელნიც სასჯელს საქართველოს სსრ ტერიტორიაზე მდებარე საპატიმრო ადგილებში იხდიან.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. ალამალი-ოღლი**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ა. შავერდოვი**

1926 წ. მარტის 23. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1132 №-ში 1926 წ. მარტის 24-ს.

დადგენილება № 6 აკსსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

618. სახელმწიფო სამეურნეო საწარმოთა წლიური ანგარიშების განმხილველი საუწყებათაშორისო კომისიის სამოქმედოდ ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

„კომერციულ ანგარიშზე"მყოფ სახელმწიფო სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთა ბალანსების განხილვისა და მოგების განაწილების წესის შესახებ" 1925 წ. აპრილის 2-ს თარიღით და მე-18 №-რით გამოცემული (ა/კსსრ კან. კრებ. 1925 წ. მე-4 №-რი, მუხ. 411) დადგენილების განსავითარებლად ა/კსსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი ინსტრუქცია სახელმწიფო სამეურნეო საწარმოთა წლიური ანგარიშების განმხილველი საუწყებათაშორისო კომისიის მოქმედების შესახებ.

1) კომერციულ ანგარიშზე მყოფ სახელმწიფო საწარმოთა წლიურ ანგარიშების განმხილველი საუწყებათაშორისო კომისიის კომპეტენციას შეადგენს:

ა) გამოარკვიოს—რამდენად სისწორითაა შეფარდებული საწარმოს მიერ ა/სფსრ-ში მომქმედი საჯარო ანგარიშგების წესებით გათვალისწინებული ფორმები ანგარიშგებისა;

ბ) გამოარკვიოს, რამდენად სისწორით არის შეფასებული ბალანსის ცალკე მუხლები და ბალანსის დანართის მუხლები;

გ) განიხილოს წლიური ანგარიშის მიხედვით საწარმოს სამეურნეო საქმიანობა, რათა ცხადჰყოს, თუ რაოდენი მიზანშეწონილობით არის გამოყენებული მასში მოთავსებული სახელმწიფოს საღსარი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) გამოარკვიოს საწარმოს მოგების (ან ზარალის) რაოდენობა და მისი განაწილების (ან დაფარვის) საშუალება;

ე) დაამტკიცოს საწარმოს წლიური ანგარიში და ნებადართოს მისი გამოქვეყნება.

2) საუწყებათაშორისო კომისიაში განსახილველი საკითხები წინასწარ განხილულ უნდა იქნეს ტეხნიკურ კომისიაში, რომელიც მოქმედებს იმავე უწყებათა წარმომადგენლების შედგენილობით, როგორც საუწყებათაშორისო კომისია.

3) ტეხნიკურ კომისიაში წარმომადგენლებად დაინიშნებიან სათანადო უწყებათა პასუხისმგებელი მომუშავე-სპეციალისტები.

შენიშვნა. საწარმოთა ანგარიშების განხილვის დროს საუწყებათაშორისო და ტეხნიკურ კომისიების სხდომაზე მიწვეულ უნდა იქნენ, სათათბირო ხმის უფლებით, სათანადო საწარმოს ხელმძღვანელი და მთავარი ბუხჰალტერი.

4) ტეხნიკური კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნება ერთი მისი წევრთაგანი საუწყებათაშორისო კომისიის დადგენილებით.

5) საუწყებათაშორისო კომისიისა და ტეხნიკური კომისიის სხდომისათვის შედგენილ უნდა იქნეს ოქმი, რომელსაც ხელს მოაწერს ამა თუ იმ კომისიის ყველა წევრი.

6) იმის გარდა, რომ, ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1925 წ. აპრილის 2-ს თარიღისა და მე.18 №-ის დადგენილების მე-6 მუხლის თანახმად, ყველა ის შეუთანხმებლობა, რამაც თავი იჩინა საუწყებათაშორისო კომისიაში, განსახილველად ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოში უნდა იქნეს გადატანილი, —საუწყებათაშორისო კომისია ეალდებულია ერთი თვის ვადაზე, ყველა საწარმოს წლიური ანგარიშების განხილვის დამთავრების შემდეგ, წარუდგინოს ა/კსფსრ უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს თავისი მუშაობის სრული ანგარიში, სადაც გაშუქებულ უნდა იქნეს ყველა საკითხი, რაც, ამა ინსტრუქციის 1-ლ და მე-2 მუხ. თანახმად, მის კომპეტენციას შეადგენს.

II. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ-ში შემავალი რესპუბლიკების ეკონომიურ თათბირებს გამოსცენ ანალოგიური ინსტრუქცია რესპუბლიკანურ საუწყებათაშორისო კომისიებისათვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1926 წ. მარტის 18.

ტფილისი—სასახლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 5 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

619. **ა/კსფსრ-სა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო დაწესებულებების მოსამსახურეთა სამუშაო ხელფასის დანორმვის შესახებ.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საჭო ადგენს;

1. სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების შრომის სასყიდლის გაცემის არსებული წესის ნაცვლად, შემოღებულ იქნეს მოსამსახურეთა სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივი დანორმვის სისტემა რასაც საფუძვლად უნდა დაედოს:

ა) თანამდებობათა ნომენკლატურის დაწესება და თანამდებობათა დახასიათება; ამასთანავე ყველა ის თანამდებობანი, რაც, სამუშაოს ხასიათისა და ოდენობის მიხედვით, თანაბარნი იქნებიან, ერთის სახელწოდებით აღინიშნებიან;

ბ) მტკიცე შტატები, წინა პუნქტში გათვალისწინებული ნომენკლატურის შეფარდებით;

გ) ჯამაგირის მტკიცე რაოდენობა თვითეული საშტატო თანამდებობისათვის.

2. ა/კსფსრ-სა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო დაწესებულებებში თანამდებობათა ნომენკლატურა და დახასიათება (1-ლი მუხ. „ა“ პ.) დადგენილ იქნება სსრკ კანონმდებლობით განსაზღვრული წესისამებრ.

3. შტატებს დააწესებენ (1-ლი მუხ. „ბ“ პ.) და შესცვლიან ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი და აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს შუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატები, ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა და რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატების (კუთვნილებისამებრ) მონაწილეობით, საკანონმდებლო ორგანოების მიერ დადგენილი წესისამებრ—შტატების გატარების შესახებ.

4. გაერთიანებულ სახალხო კომისარიატებში და ამიერკავკასიის მასშტაბის ცენტრალურ დაწესებულებაში ჯამაგირის განაკვეთებს საშტატო თანამდებობისათვის (1-ლი მუხ. „გ“ პ.) დააწესებს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატსა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან ერთად, დაინტერესებული უწყებისა და სათანადო პროფესიონალური კავშირის მონაწილეობით.

5. ჯამაგირის განაკვეთს თვითეული საშტატო თანამდებობისათვის არაგაერთიანებულ უწყებაში და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების დაწესებულებებში, აგრეთვე ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებებში შეიმუშავებს სათანადო რესპუბლიკის შრომის სახალხო კომისარიატი, ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა, დაინტერესებული უწყებისა და სათანადო პროფესიონალური კავშირის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონაწილეობით; ჯამაგირების განაკვეთების შემუშავება მოხდება ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა, ფინანსთა სახალხო კომისარიატისა და ა/კსფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატის შეთანხმებით შემუშავებული სანიმუშო სქემის საფუძველზე. შემუშავებული ჯამაგირების განაკვეთები დასადასტურებლად სათანადო რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს წარედგინება.

შენიშვნა. განაკვეთთა რაოდენობა ა/კსფსრ ფედერატიულ და გაერთიანებულ უწყებათა დაწესებულებებში, რომელნიც ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის ტერიტორიაზეა, შეთანხმებულ უნდა იქნეს ამა რესპუბლიკის სათანადო და თანაბარ თანამდებობათა განაკვეთებთან.

6. ამა დადგენილების მე-3, 4 და 5 მუხლების წესისამებრ განსაზღვრული შტატები და განაკვეთები დამტკიცებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ.

7. ამა დადგენილების მე-4 და 5 მუხლებში აღნიშნული ჯამაგირების განაკვეთების პროექტები ყველა, სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი დაწესებულებისა წარდგენილ უნდა იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისარიატში არა უგვიანეს 1926 წ. ივნისის 1-სა.

8. სამუშაო ხელფასის კრედიტები განისაზღვრება დაწესებული შტატებისა და დამტკიცებული ჯამაგირების მიხედვით, რასაც უნდა დაემატოს შემდეგი თანხები:

ა) ზედმეტი მუშაობის გასამრჯელოსათვის იქ, სადაც ასეთი მუშაობა ნებადართულია სპეციალური კანონით ან, შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოების დადგენილებისამებრ ისეთ შემთხვევაში, რაც აღნიშნულია კანონში;

ბ) თანამდებობის ჯამაგირის ზედნართის მისაცემად უმაღლესი კვალიფიკაციის პირებისათვის, რომელთაც ზედნართი პერსონალურად მიკუთვნებული და დამტკიცებული აქვთ განსაკუთრებული წესისამებრ,

გ) გასასვლელი დახმარებისა, გამოუყენებელი შვებულების კომპენსაციისა და დროებით სხვაგან მყოფ (შვებულებაში ან წარვლინებაში) მოსამსახურეთა მენაცვლე პირებისათვის გასამრჯელოს მისაცემად;

დ) დროებითი მოსამსახურეებისათვის გასამრჯელოს მისაცემად იქ, სადაც ეს საჭირო იქნება საოპერაციო წლის განმავლობაში, დაწესებულების სამუშაოს ხასიათის მიხედვით; ამ მიზნისთვის კრედიტების გამოანგარიშება მოხდება განსაკუთრებული წესისამებრ, რასაც ა/კსფსრ-სა და მასში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატები გამოსცემენ (კუთვნილებისამებრ), სათანადო ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და მუშათა და ალეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით. ამ კატეგორიის მოსამსახურეთა გასამრჯელოს რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს იმავე დაწესებულების სათანადო საშტატო თანამდებობის ჯამაგირს.

9. ამა დადგენილების მე-8 მუხლის თანახმად გაცემული, მაგრამ სახარჯთაღრიცხვო წლის განმავლობაში თავის პირდაპირ დანიშნულებისთვის არგამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყენებული კრედიტები არ შეიძლება დახარჯულ იქნეს სხვა საჭიროებისათვის და გადაირიცხება სახელმწიფო შემოსავალში.

10. ამა დადგენილებით დაწესებული მოსამსახურეთა სამუშაო ხელფასის დანორმვის სისტემა ა/კსფსრ-სა და მასში შემავალი რესპუბლიკების ყველა, სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ, დაწესებულებაში განხორციელებულ უნდა იქნეს 1926—27 საბიუჯეტო წლის დასაწყისიდან, ხოლო ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებაში—1926/27 საბიუჯეტო წლის განმავლობაში.

11. სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების სამუშაო ხელფასის სახელმწიფოებრივ დანორმვაზე ვადასვლა მოხდება შემდეგ საფუძველზე:

ა) შტატების განსაზღვრა თვითეულ დაწესებულებაში სწარმოებს იმ საშტატო კონტიგენტის მიხედვით, რაც დამყარებულია ა/კსფსრ-სა და მასში შემავალი რესპუბლიკების მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატების მიერ, მოსამსახურეთა ფაქტიური რიცხვის ანგარიშში მიღებით; თანაც თანამდებობათა სახელწოდება შეფარდებულ უნდა იქნეს ამა დადგენილების მე-2 მუხლის თანახმად დაწესებულ ნომენკლატურასთან;

ბ) თვითეულ საშტატო თანამდებობას მიეკუთვნება მტკიცე ჯამაგირი, რომლის განსაზღვრის დროსაც მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს, როგორც თანამდებობის მიხედვით ფაქტიურად განაცემი სასყიდელი, ისე სამუშაო ხელფასის კრედიტების საერთო რაოდენობა სახელმწიფო ბიუჯეტით ცალკე და ადგილობრივ ბიუჯეტით ცალკე.

გ) პასუხისმგებლობისა და კვალიფიკაციის მიხედვით თანაბარ თანამდებობათა ჯამაგირები, შეძლებისდაგვარად, გათანასწორებულ უნდა იქნეს ყველა დაწესებულებაში, ხოლო ამასთანავე მხედველობაში მიღებულ უნდა იქნეს,—სახელმწიფო ბიუჯეტზე, თუ ადგილობრივ ბიუჯეტზე იმყოფება დაწესებულება, და აგრეთვე ტერიტორიალური ნიშანი (რაიონი).

12. ამა დადგენილების განხორციელებისათვის ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობის გაწევა დაეკისრება ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს. ამა რეფორმის განხორციელებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესამუშავებლად და აგრეთვე ერთიანი ნომენკლატურისა და ჯამაგირების სქემის პროექტის განსახილველად ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან მოეწყობა კომისია, რომელშიაც შევლენ მუდმივი წარმომადგენელნი: ა/კ. პროფ. კავშირთა საბჭოსი, ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა, ა/კ. სახელმწიფო საგეგმო კომისიისა, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი და საბჭოთა მოსამსახურეების პროფესიონალური კავშირის რესპუბლიკურ განყოფილებათა წარმომადგენელი. კომისიას თავმჯდომარეობს ა/კ. შრომის სახალხო კომისარი. ამასთანავე ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ კომისიაში მიწვეულ იქნებიან სათათბირო ხმის უფლებით აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს შრომის სახალხო კომისარიატების წარმომადგენელნი.

ანალოგიური მუშაობის განსახორციელებლად აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს რესპუბლიკებში ამა რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებთან მოეწყობიან კომისიები შრომის სახალხო კომისრის თავმჯდომარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობით და პროფ. კავშირთა საბჭოს, ფინანსთა სახალხო კომისარიატისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა, სახელმწიფო საგეგმო კომისიისა, სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და საბჭოთა მოსამსახურეების პროფეს. კავშირის თითო წარმომადგენლის შედგენილობით; ამასთანავე აღნიშნული კომისიების შედგენილობაში აზერბეიჯანსა და საქართველოში მიწვეულ იქნებიან სათათბირო ხმის უფლებით მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების შრომის სახალხო კომისარიატების ორგანოების წარმომადგენლნი.

შენიშვნა. ამა თუ იმ უწყებისა ან პროფ. კავშირის გამგებლობის საგნის განხილვის დროს აღნიშნული კომისიის შედგენილობაში მიწვეულ უნდა იქნეს დაინტერესებული უწყებისა თუ პროფ. კავშირის წარმომადგენელი.

13. ამა დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებამდე დაცულ უნდა იქნეს სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურეების სასყიდლის გაცემის არსებული სისტემა.

14. კომერციულ და სამეურნეო ანგარიშზე მყოფ დაწესებულებებში შენარჩუნებულ უნდა იქნეს სისტემა; სამუშაო ხელფასის კოლექტიური ხელშეკრულების დადებით მოწესრიგებისა; ამასთანავე წინადადება მიეცეს ყველა სახალხო კომისარიატს, რომლის გამგებლობაშიაც ეს დაწესებულებანი იმყოფებიან, სამმართველოების აპარატის მოსამსახურებთან კოლექტიური ხელშეკრულების დადების დროს, შეძლებისადაგვარად, იხელმძღვანელოს ეს დადგენილება; თანაც ანგარიშში უნდა მიიღოს ყოველი დაწესებულებისა და საწარმოს ინდივიდუალობა.

15. ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატს დაევალება გამოსცეს სათანადო ინსტრუქცია ამა დადგენილების განვითარებისათვის.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი **ნ. სოკოლოვსკი.**

1926 წ. მარტის 18. ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1138 №-ში 1926 წ. მარტის 31-ს

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა ტფილისი

ტფილისი. ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტამბა. ბ. ლეონიძე. პრ. № 91.
19/VI—26. შეკ. № 7972 1304. მთავარლიტი № 925. ტირაჟი 800.